ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 218

27 ივლისი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" საქართველოს წარმომადგენლობას" (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 127^2 მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და "ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" საქართველოს წარმომადგენლობას" (ს/კ: 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის №18.526.841 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეიცვალოს ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" საქართველოს წარმომადგენლობას" (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 090659695) მე-4 მუხლის 4.4. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4. გადაცემულ ობიექტებში უწყვეტი სამედიცინო განათლების, სახელობო საექთნო განათლების და დიპლომირებული ექთნების გადამზადების უზრუნველყოფა; გადაცემულ ობიექტებში თანამედროვე, დასავლური სტანდარტის საექთნო სკოლის ჩამოყალიბება;“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**